საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

დადგენილება №18/2006

2006 წლის 30 აგვისტო

ქ. თბილისი

2006 წლის 5 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – აჟარის თემის საკრებულოს არჩევნების საარჩევნო ღონისძიებების ზოგიერთი ვადის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1

1. №86 ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების ასარჩევად კონკურსი გამოცხადდეს არა უგვიანეს 2006 წლის 31 აგვისტოსი.

2. №86 ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების ასარჩევად საბუთების მიღება იწარმოებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არა უგვიანეს 2006 წლის 2 სექტემბრისა.

3. №86 ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ცენტრალური საარჩევნო კომისია ირჩევს არა უგვიანეს 2006 წლის 3 სექტემბრისა.

4. №86 ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისიის პირველ სხდომას ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ნიშნავს არა უგვიანეს 2006 წლის 5 სექტემბრისა.

5. №86 ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისიის საარჩევნო უბნებს ქმნის არა უგვიანეს 2006 წლის 7 სექტემბრისა.

6. ცენტრალური საარჩევნო კომისია №86 ზემო აფხაზეთის საარჩევნო ოლქში ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქებს ქმნის არა უგვიანეს 2006 წლის 7 სექტემბრისა.

7. №86 ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს ირჩევს არა უგვიანეს 2006 წლის 7 სექტემბრისა.

8. საუბნო საარჩევნო კომისიებში წევრების დანიშვნის უფლების მქონე პარტიები საუბნო საარჩევნო კომისიებში წევრების დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას №86 ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისიას წარუდგენენ არა უგვიანეს 2006 წლის 9 სექტემბრისა.

9. №86 ზემო აფხაზეთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საუბნო საარჩევნო კომისიების პირველ სხდომებს ნიშნავს არა უგვიანეს 2006 წლის 10 სექტემბრისა.

მუხლი 2.

ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის 1ა) მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3.

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **გ. ჩალაგაშვილი**

კომისიის მდივანი **გ. მჭედლიძე**